

# COVID-19-ის გავლენა კლუბური ნარკოტიკების მომხმარებელთა ქცევაზე

თამარ ჭობონელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯანა ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ჭოხონელიძე

თარიღი: 25.06.2021

## აბსტრაქტი

**შესავალი:** კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ და ვირუსის შეჩერების მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა შეცვალა ცხოვრების ჩვეული სტილი და ამა თუ იმ ქვეყნის პატერნები. ამ მხრივ არ არის გამონაკლისი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ქცევა. ამ უკანასკნელის ცვლილების შესწავლა მნიშვნელოვანია, რათა დაიგეგმოს ახალი, პანდემიის პირობების შესაბამისი პრევენციული სტრატეგიები.

**კვლევის მიზანი:** კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორი ზეგავლენა მოახდინა COVID-19-ით გამოწვეულმა ვითარებამ კლუბური ნარკოტიკების მოხმარების ქცევაზე. კერძოდ, კვლევა პასუხობს შემდეგ შეკითხვებს: შეიცვალა თუ არა, და თუ შეიცვალა - როგორ კლუბური ნარკოტიკების მოხმარების პატერნები და შესაბამისი რისკები პანდემიის დროს (1), არის თუ არა კავშირი კლუბური ნარკოტიკების მოხმარებასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს შორის (2), არის თუ არა კავშირი კლუბური ნარკოტიკების მოხმარებასა და სხვა ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარებას შორის (3).

**კვლევის მეთოდი:** ჩატარდა რაოდენობრივი გამოკითხვა, ჯვარედინ სექციური კვლევის დიზაინით, არაალბათური შერჩევით, ონლაინ ფორმატში, პლატფორმა Jotform-ის გამოყენებით. კვლევის მიზნით შედგენილი კითხვარი მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს: დემოგრაფიული ბლოკი, ფსიქოაქტიური საშუალებების სკრინინგის ASSIST ტესტი, ჩვენს მიერ შედგენილი მოხმარების პატერნების საკვლევი შეკითხვები, და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგ ტესტი PHQ4. გამოკითხვა მოიცავდა ერთი და იგივე შეკითხვებზე პასუხის გაცემას პანდემიამდე 6 თვის მანძილზე და პანდემიის დროს 6 თვის მანძილზე არსებული ვითარების შესახებ. მონაცემთა უნივარიაციული, ბივარიაციული და ორ ცვლადს შორის კორელაციის დადგენა შესრულდა SPSS პროგრამის საშუალებით.

**კვლევის შედეგები:** კვლევაში მონაწილეობა მიიღო 83-მა რესპონდენტმა 20-დან 35 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში, ASSIST-ის სკრინინგ-ტესტმა გამოავლინა, რომ პანდემიის დროს 6 თვის მანძილზე ფსიქოაქტიური საშუალებების (მათ შორის

კლუბური ნარკოტიკების) მოხმარებასთან დაკავშირებულმა რისკებმა პანდემიამდე 6 თვის პერიოდთან შედარებით იკლო. კერძოდ, შესწავლილ შერჩევაში იკლო მოხმარების გავრცელებამ და შეძენამ, ასევე იკლო მოხმარებამ საჯარო სივრცეებში მეგობრებთან ერთად. იმატა მოხმარებამ სახლის წვეულებაზე (პანდემიამდე-2.4%, პანდემიის დროს-48.2%) პარტნიორთან ერთად (ამ უკანასკნელს პანდემიამდე ადგილი არ ჰქონია). დადგინდა კორელაცია კლუბური ნარკოტიკების მოხმარებასა და შფოთვისა და დეპრესიის სიმპტომებს შორის. ასევე, გამოვლინდა კავშირი კლუბური ნარკოტიკების მოხმარებასა და თამბაქოს ალკოჰოლის და კანაფის მოხმარებას შორის.

**კვლევის დასკვნები:** კლუბური ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები პანდემიის დროს შემცირდა. ფიქსირდება მოხმარების პატერნების ცვლილებები - რაც მიგვითითებს პარტნიორთან ერთად პრევენციისა და ადრეული ჩარევების დაგეგმვა-განხორციელების მნიშვნელობაზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა კორელაცია ნარკოტიკების მოხმარებასა და შფოთვის და დეპრესიის სიმპტომებს შორის, ანუ, შესაძლოა, რომ შფოთვისა და დეპრესიის სიმპტომები იყოს მოხმარების ერთ-ერთი მიზეზი, ან მოხმარების შედეგი და უნივერსალური და/ან მიზანმიმართული და შერჩევითი პრევენციის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვაც. კვლევის შედეგად არ გამოვლინდა კლუბური ნარკოტიკების მოხმარების რისკის შემცირების ხარჯზე ალკოჰოლის და კანაფის მოხმარების რისკის მატება.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კლუბური ნარკოტიკები, COVID-19, ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები, მოხმარების პატერნები, შფოთვა, დეპრესია.

## Abstract

**Introduction:** The pandemic that was caused by the Coronavirus and the prevention methods to eliminate the spread of this disease has changed the living conditions. It has also led to the social-distancing in different aspects of life, that has also changed in its own way the usual lifestyle and patterns of behavior. Behavior of using psychoactive substance is no exception in this regard. Studying the change in the usage of psychoactive substances is important to plan new, pandemic-appropriate prevention strategies.

**Research aims:** The aim of the study was to determine how the situation caused by COVID-19 affected club drug use behavior. In particular, the study answers the following questions: whether and how the risks associated with club drug use have changed and patterns of use during a pandemic (1), whether there is a link between club drug use and mental health problems (2), whether there is a link between club drug use and the use of other psychoactive drugs (3).

**Research methods:** A quantitative survey was conducted, with cross-sectional survey design, non-random sampling, in online format, using the Jotform platform. The research questionnaire included the following components: Demographic block, ASSIST psychoactive substance use Screening ASSIST test, drug use patterns focused questions composed by the investigator and World Health Organization PHQ4 screening test. The survey included replying to the same questions for 6 months before the pandemic and for 6 months throughout the pandemic. Univariate, bivariate and correlation analysis was performed using SPSS program.

**Research findings:** 83 people have participated in the study between the ages of 20 and 35. An ASSIST screening test found that the risks associated with using psychoactive drugs (including club drugs) during 6-month period in pandemic were reduced compared to a 6-month period before the pandemic. In particular, the occurrence of consumption and acquisition decreased in the study sample, as well as consumption in public spaces with friends decreased. Consumption at a house parties (2.4% before the pandemic, 48.2% during a pandemic) with a partner. A link was found between club drug use and symptoms of anxiety and depression.

Furthermore, the association was established between club drug use and the tobacco, and alcohol and cannabis use.

**Conclusions of the research:** The risks associated with club drug use were reduced during a pandemic. Moreover, changes in the consumption patterns were also recorded - which indicates the importance of implementing the prevention measures at early stages with a partner. In addition, the study has found a correlation between drug use and symptoms of anxiety and depression, indicating necessity of taking into consideration mental health needs of the target groups while planning preventive interventions. The study did not reveal an increased risk of alcohol and cannabis use at the expense of reducing the risk of club drug use.

**Keywords:** club drugs, COVID-19, risks associated with psychoactive drug use, consumption patterns, anxiety, depression.

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ჯანა ჯავახიშვილს, ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამის პროფესორ დავით ოთიაშვილსა და სათემო ორგანიზაცია მანდალას ხელმძღვანელს თემურ ხატიაშვილს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის და რეკომენდაციებისთვის.

მადლობას ვუხდით ყველა იმ რესპონდენტს, რომლებმაც დრო გამოთხვეს და მიიღეს კვლევაში მონაწილეობა.